

თანამშრომელთა უკმაყოფილების გავლენა კომპანიის პროდუქტიულობაზე
(საბანკო სექტორი)

მარიამ ჭელიძე, ცოტნე ფერაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს-
ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მო-
თხოვნების შესაბამისად*

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

სამაგისტრო ხელმძღვანელი: გივი ჭანუყვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ჭელიძე

ცოტნე ფერაძე

თარიღი: -----

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება თანამშრომელთა უკმაყოფილებასა და მათ გავლენას კომპანიის პროდუქტიულობაზე. განხილულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს თანამშრომლის კმაყოფილებასა და პროდუქტიულობას. გამახვილებულია ყურადღება სამუშაო სტრესზე, რომელსაც ნეგატიური ზეგავლენა აქვს თანამშრომლისა და ორგანიზაციის განვითარებაზე. ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა მეცნიერთა და მკვლევართა დასკვნები და შეფასებები იმის შესახებ, თუ რა იწვევს დასაქმებულში შრომით უკმაყოფილებას და მიმოხილულია უკმაყოფილების გადაჭრის გზები. საუბარია ორგანიზაციული კულტურის როლზე, რომლის სწორად ჩამოყალიბება ორგანიზაციისთვის წარმატების ფორმულად მიიჩნევა. ლიტერატურის მიმოხილვაში წარმოდგენილია ხუთი წყარო, რომელიც ეხება ნაშრომის თემას, სადაც განხილულია სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სექტორში არსებული პრობლემები სამუშაო სტრესთან და უკმაყოფილებასთან დაკავშირებით. კვლევის ანალიზში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კონკრეტულად მინესოტას შრომითი კმაყოფილების კითხვარი, რომელიც დამუშავებული იქნა SPSS მონაცემთა ანალიზის პროგრამის მიხედვით, რის შედეგადაც გამოვითვალეთ ორ ცვლადს შორის - „სტრესი“ და „კმაყოფილება“ კორელაცია, რეგრესია, საიმედოობის კოეფიციენტი. გამოკითხული იქნა საქართველოს საბანკო სექტორში მომუშავე ერთ-ერთი მიკრო საფინანსო ორგანიზაციის თანამშრომლები. დღევანდელი ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე გამოკითხვა განვახორციელეთ ონლაინ კითხვარის სახით, სადაც გამოვიყენეთ Google Forms-ის შესავსები ფორმა და შესაბამისად რესპოდენტებს კითხვარის შევსება დისტანციურად დაევალათ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სტრესი, სამუშაო გარემო, სამუშაო უკმაყოფილება, პროდუქტიულობა, სამსახურეობრივი გამოფიტვა, ეფექტურობა.

Abstract

The following Master thesis is an attempt to analyze complaints of employees and its influence to the company productivity. The focus is on work stress, which has a negative impact on employee and organization development. The study summarizes opinions of different scientists what causes job dissatisfaction in employees and reviews about the ways to solve the problems in the employee, role of organizational culture, the formation of which is considered to be the formula for success for the organization.

The literature review presents five sources related to the topic of the thesis – which discusses the problems in the banking sector of different countries related to work stress and dissatisfaction.

Quantitative research method is used in research analysis, in particular, labor satisfaction questionnaire of Minnesota, that has been processed according to SPSS data analysis programed. As a result, we calculated “stress” and “satisfaction”, correlation, regression, reliability coefficient between two variables. Employees of a micro finance organization operating in Georgian Banking sector have been interviewed. Due to pandemic situation, interview has been conducted as online questionnaire. We used Google Forms and respondents were instructed to fill questionnaire remotely.

Key Words: Stress , Work environment, Work dissatisfaction, Productivity, Job Burnout, Efficiency.